

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2000 წლის 3 მაისის N 273 – II ს დადგენილებით

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი № 1

სტრასბურგი 4.XI.1993

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1987 წლის 26 ნოემბერს ხელმოწერილ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია,“) ამ ოქმს, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს არა წევრ სახელმწიფოებს საშუალება უნდა მიეცეთ მიუერთდნენ კონვენციას მინისგრთა კომიტეტის მოწვევით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ქვეპუნქტი:

“როდესაც არჩეული უნდა იქნას კომიტეტის წევრი ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოებიდან, საკონსულტაციო ასამბლეის ბიურო სთხოვს ამ სახელმწიფოს პარლამენტს წარმოადგინოს სამი კანდიდატურა, რომელთაგან სულ მცირე ორი მისი მოქალაქე უნდა იყოს. კომიტეტის მიერ წევრის არჩევა მოხდება შესაბამის მხარესთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ.”

მუხლი 2

კონვენციის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მე-11 მუხლით დადგენილი კონფიდენციალურობის წესების დაცვით, კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს მინისგრთა კომიტეტს გენერალურ მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ, რომელიც გადაეცემა საკონსულტაციო ასამბლეას და ევროპის საბჭოს ყველა არაწევრ სახელმწიფოს, რომელიც არის კონვენციის მხარე; მოხსენება გამოქვეყნდება...“

მუხლი 3

კონვენციის მე-18 მუხლის ტექსტი გახდეს ამ მუხლის 1-ლი პუნქტი და მას დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-2 პუნქტი:

“2. ევროპის საბჭოს მონისგრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო, რათა იგი მიუერთდეს კონვენციას.”

მუხლი 4

კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში ამოღებულ იქნას სიტყვა “წევრი” და სიტყვები “ან დამტკიცება” შეიცვლება სიტყვებით “დამტკიცება ან მიერთება,”

მუხლი 5

კონვენციის მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში სიტყვები “ან დამტკიცება” შეიცვალოს სიტყვებით “დამტკიცება ან მიერთება.”

მუხლი 6

კონვენციის 23-ე მუხლის შესავალი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არიან ამ კონვენციის მხარეები.”

კონვენციის 23-ბ მუხლში სიტყვები “ან დამტკიცება” შეიცვლება სიტყვებით “დამტკიცება ან მიერთება.”

მუხლი 7

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას და რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი თანხმობა იყვნენ ვალდებული ოქმით:

ა) ხელმოწერის საშუალებით რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მიმართ დათქმის გარეშე; ან

ბ) ხელმოწერის საშუალებით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას და რომელსაც უნდა მოსდევდეს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.

2. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 8

ეს ოქმი ძალაში შედის ამ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარე განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ოქმით მე-7 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 9

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეაგყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ) მე-8 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ) ნებისმიერი სხვა ქაგის, შეგყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ ოქმთან.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1993 წლის ნოემბრის მე-4 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეაგყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) ნებისმიერი სარაგიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ) მე-3 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ) ნებისმიერი სხვა აქტის, შეცვობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაშია ამ ოქმთან.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1993 წლის ნოემბრის მე-4 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიკური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.